სარევიზიო კომისიის ანგარიში ბაფის საქმიანობის შესახებ

სარევიზიო კომისის მიერ (მარეხ ტოგონიძე, ხათუნა ბარბაქაძე, მზია ციფურაშვილი) შემოწმებული იქნა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის 2018 წლის საქმიანობა 2019 წლის 02 მაისიდან 2019 წლის 23 მაისამდე პერიოდში. შემოწმების ობიექტს წარმოადგენდა ბაფ-ის გამგეობისა და კომიტეტების მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობა, მათ შორის საერთო კრებისა და გამგეობის გადაწყვეტილებების ბაფის წესდებასთან შესაბამისობა, გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით კომიტეტების მუშაობა მათი შესრულების გეგმასთან შესაბამისობა, შემოსავლებისა და ხარჯების სამართლიანობა, და მათი შესაბამისობის ხარისხი დაგეგმილ ბიუჯეტთან. შემოწმებამ საშუალება მოგვცა გაგვეკეთებინა საქმიანობის ანალიზი და მოგვეხდინა მისი შეფასება.

გაგაცნობთ ჩატარებული რევიზიის შედეგების მოკლე მიმოხილვას:

1. წესდების და ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების დაცვა

ბაფი წესდების შესაბამისად საქმიანობას ახორციელებს გამგეობის, აღმასრულებელი დირექტორისა და კომიტეტების მიერ შემუშავებული და დამტკიცებული შიდა პოლიტიკის, სისტემებისა და მენეჯერული პროცედურების საფუძველზე. ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ დაკისრებული ვალდებულებების ფარგლებში ბაფი აგრეთვე ახორციელებს სტრატეგიული გეგმების შემუშავებას, რომლებიც უზრუნველყოფს:

- პროფესიული სერთიფიცირებისა და უწყვეტი განგრძობითი განათლების მიმართ მოთხოვნების დაკმაყოფილებას;
- პროფესიული ორგანიზაციების წევრების მიერ პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და ხარისხის კონტროლის სისტემის მიმართ მოთხოვნების შესრულებას;
- სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის მართვას;

წევრებისადმი ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მოთხოვნების შესაბამისად, ბაფი 2 წელიწადში ერთხელ ადგენს სამოქმედო (ორწლიან) გეგმას, რომელიც მოიცავს ბაფის საქმიანობის ყველა მიმართულებას. სამოქმედო გეგმის შესრულებაზე ზედამხედველობას და პერიოდულ შეფასებას ახორციელებს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია.

საანგარიშო პერიოდში, საოქმო ჩანაწერების მიხედვით, ჩატარებულია გამგეობის 7 სხდომა (წესდებით ითვალისწინებს მინიმუმ 4 სხდომის ჩატარებას წელიწადში). სხდომებზე განხილული თემებიდან გამოვყოფთ: კომიტეტების შემადგენლობისა და დებულებების განახლება, კომიტეტების სამოქმედო გეგმების განხილვა და დამტკიცება; ორწლიანი სამოქმედო გეგმის, ყოველწლიურ სამუშაო პროგრამასთან

და მისი შესრულების გრაფიკთან ერთად, დამტკიცება და ბუღალტერთა საერთათაშორისო ფედერაციასთან შეთანხმება;

ბაფის 2018 წლის საქმიანობის შედეგების განხილვამ გვიჩვენა, რომ იგი შესაბამისობაშია საერთო კრების წინაშე აღებულ ვალდებულებებთან. არსებული მასალების შესწავლის საფუძველზე ირკვევა რომ სხდომებზე მიღებული დადგენილებების ძირითადი ნაწილი შესრულებულია. სარევიზიო კომისია გამგეობის მუშაობას დადებითად აფასებს.

რეკომენდაციის სახით აღვნიშნავთ, რომ ოქმებში სასურველია ნაჩვენები იქნეს წინა სხდომის დადგენილების მიხედვით გაწერილი საქმიანობები მისი შესრულების გონივრული ვადებით. ხოლო მომდევნო სხდომაზე დღის წესრიგში განხილული იქნეს აღნიშნული საქმიანობის შესრულების სტატუსი.

კომიტეტების საქმიანობა:

მათი საქმიანობის ზოგად პრინციპებს განსაზღვრავს „კომიტეტების საქმიანობის შესახებ" დებულება, ხოლო ცალკეული კომიტეტისათვის გამგეობის მიერ დამტკიცებულია დებულებები, რომლებშიც გაწერილია მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და უფლება-მოვალეობები.

განათლების კომიტეტი: სარევიზიო კომისიამ შეისწავლა მარეგულირებელი დოკუმენტები: პროფესიული სერტიფიცირების დებულება, ბუღალტერთა პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტი, ნამდვილ წევრთა სავალდებულო განათლების სტანდარტების მოთხოვნები. კომისიამ ასევე შეისწავალა განხორციელებული საქმიანობების შესახებ საოქმო ჩანაწერები.

განათლებისა კომიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები შესაბამისობაშია მოქმედ მარეგულირებელ დოკმენტებთან იგი მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: გადამზადება, პროფესიული სერტიფიცირება და უწყვეტი განგრძობითი განათლების ხელშეწყობა, რომელიც ბაფის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს, ამ მიზნით იგი უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური პროფესიონალების მომზადებას, რომლებიც აკმაყოფილებენ პროფესიონალისთვის დამახასიათებელ საერთაშორისო კრიტერიუმებსა და ეთიკის ნორმებს.

საანგარიშო პერიოდში განათლების კომიტეტის მიერ წარდგენილი ბუღალტრთა პროფესიული სერტიფიცირების სასერტიფიკაციო პროგრამა ზედამხედველობის სამსახურის მიერ იქნა აღიარებული.. აღიარებული სასერტიფიკაციო პროგრამის საგამოცდო პოლიტიკისა და პროცედურების მოთხოვნების გათვალისწინებით: შეცვლილია განათლების კომიტეტის ფუნქციები და სტრუქტურული რგოლები. განახლდა კომიტეტის შემადგენლობა და შიდა ნორმატიული აქტები-კომიტეტის დებულება, საგამოცდო კომისიის დებულება, პროფესიული სერტიფიცირების დებულება.

სარევიზიო კომისის მიერ კომიტეტის საქმიანობა დადებითად შეფასდა.

საწევროო კომიტეტის შემოწმების პერიოდში შესწავლილი იქნა მოქმედი დებულებების მოთხოვნების განხორციელების ფაქტიური მდგომარეობა, კერძოდ:

წევრებთან ურთიერთობის მარეგულირებელი დოკუმენტები (წესდება, საწევრო კომიტეტის დებულება, ბაფის წევრად მიღების, წევრობის შეჩერებისა და შეწყვეტის წესები);

საანგარიშო პერიოდში, წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესებულია ნამდვილი წევრებისა და კორპორაციული წევრების საწევრო გადასახადების დაფარვის მაჩვენებელი,

სარევიზიო კომისიამ შეისწავლა კომიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტები, შესამოწმებელ პერიოდში კომიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა და საოქმო ჩანაწერები, რის საფუძველზეც კომიტეტის საქმიანობა დადებითად შეფასადა.

აუდიტის ხარისხის კომიტეტი საანგარიშო პერიოდში განახლდა და შესაბამისობაში მოვიდა კომიტეტის დებულება მის ფუნქციებთან; დებულების მიხედვით კომიტეტის ძირითად ფუნქციას შეადგენს წევრ კომპანიაში ხარისხის კონტროლის სისტემის წინასწარი მონიტორინგი (დიაგნოსტიკის ანგარიში) და კორპორაციულ წევრებისთვის ხარისხის კონტროლის სისტემის სრულყოფასთან დაკავშირებულ საკითხებში მხარდაჭერა, კონსულტაციები, სემინარები, აუდიტის პროგრამის შერჩევა, აუდიტის მეთოდოლოგია და სხვა. ბაფი ხარისხის სისიტემის წინასწარ მონიტორინგს განახორციელებს მხოლოდ იმ წევრ კომპანიებში, რომლებიც ამის სურვილს გამოხატავენ.

საანგარიშო პერიოდში ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი ჩაუტარდა და "დიაგნოსტიკური ანგარიში" გაიცა 5 კორპორაციულ წევრზე;

სარევიზიო კომისიამ შეისწავლა კომიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტები, შესამოწმებელ პერიოდში კომიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა და საოქმო ჩანაწერები, რის საფუძველზეც კომიტეტის საქმიანობა დადებითად შეფასადა.

ეთიკისა და დისციპლინარული კომიტეტი კომიტეტის ძირითადი სახელმძღვანელო დებულებაა "ბაფის წევრების მიერ პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (IESBA Code) და ხარისხის კონტროლის სისტემების მიმართ დადგენილი მოთხოვნების დარღვევის გამოვლენისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების წესი". ამ მხრივ განახლდა და დამტკიცდა კომიტეტის არსებული დებულება, ასევე განხორციელდა დისციპლინარული მოკვლევის შესაბამისი პროცედურები, რის მიხედვით: კომიტეტი შეისწავლის პროფესიონალი ბუღალტრების მიერ ეთიკის კოდექსისა და ხარისხის კონტროლის სისტემების

მიმართ დადგენილი მოთხოვნების დარღვევის გამოვლენილ ფაქტებს. გამოვლენილ დარღვევებზე ახორციელებს დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრებას. დამტკიცდა დისციპლინარული მოკვლევისა და ეთიკის კომიტეტის საბჭოს შემადგენლობა;

საანგარიშო წელს საოქმო ჩანაწერების მიხედვით ბაფის წევრი პროფესიონალი ბუღალტრების მიერ ეთიკის კოდექსისა და ხარისხის კონტროლის მიმართ დადგენილი მოთხოვნების დარღვევის ფაქტებზე შემოსული იყო 2 ინფორმაცია, რომელიც განიხილა კომიტეტმა და მათზე მოკვლევის პროცედურების განხორციელებულა არ ჩათვალა მიზანშეწონილად.

სარევიზიო კომისიამ შეისწავლა კომიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტები, შესამოწმებელ პერიოდში კომიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა და საოქმო ჩანაწერები, რის საფუძველზეც კომიტეტის საქმიანობა დამაკმაყოფილებლად შეფასადა.

საგადასახადო დაბეგვრის კომიტეტი.

საანგარიშო წლის კომიტეტის საქმიანობის შესახებ მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით ირკვევა რომ ბაფ-ში მუდმივად მუშაობს ორი კონსულტატი, რომლებიც ინტენსიურად პასუხობს შემოსულ შეკითხვებს, პერიოდულად წერილობით შეკითხვების პასუხებს იხილავს კომიტეტი და შესაბამისად ხდება მისი გამოქვეყნება ბაფის ყოველთვიურ ჟურნალში "ბუღალტრული აღრიცხვა" კომიტეტის წარმომადგენელი (თავ%დომარე) სისტემატურად და აქტიურად მონაწილეობს სამთავრობო და საკანონმდებლო სტრუქტურებთან გამართულ დისკუსიებში.

გამოქვეყნებული და არსებული მასალების საფუძველზე სარევიზიო კომისიის მიერ კომიტეტის საქმიანობა დადებითად შეფასდა.

სტანდარტებისა კომიტეტი

საანგარიშგებო წელს სტანდარტების თარგმნაზე პასუხისმგებლობა გადაეცა ზედამხედველობის სამსახურს. ამიტომ კომიტეტს ამ კუთხით სამუშაოები ადარ გაუწევია. ძირითადი საქმიანობა შემოიფარგლა ბაფის 2018-1019 წლის სამოქმედო გეგმის შედგენით; ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებთან დაკავშირებული ყოველწლიური განგრძობითი სწავლების პროგრამის მომზადებით ასევე სხვადასხვა თემატური სემინარების მომზადებით.

სარევიზიო კომისიის მიერ შესწავლილი იქნა სტანდარტების კომიტეტის დებულება, სამოქმდო გეგმა და შესამოწმებელ პერიოდში განხოციელებული საქმიანობები. რის საფუძველზეც კომიტეტის საქმიანობა დამაკმაყოფილებლად

შეფასდა. რეკომენდირებულია კომიტეტის საქმიანობის საოქმო ჩანაწერების არქივირება.

2. აღმასრულებელი სტრუქტურის საქმიანობის და შიდა კონტროლის სისტემის შეფასება

აღმასრულებელი სტრუქტურის საქმიანობა დარეგულირებულია შიდა ნორმატიული დოკუმენტებით, კერძოდ, გაწერილი და დამტკიცებულია "მენეჯერული პროცედურები"; "შინაგანაწესი"; თანამშრომელთა საქმიანობა რეგულირდება აღმასრულებელი დირექტორის დამტკიცებული "ბაფის თანამშრომელთა ფუნქციების შესახებ" ბრძანებით. დოკუმენტში გაწერილია თითოეული თანამშრომლის უფლება-მოვალეობები, ორგანიზაციის ადმინისტრაციის წევრების ვალდებულებები არის ჩამოყალიბებული და გამიჯული. თანამშრომელთა ვალდებულებების შესრულება კონტროლდება ოფისის მენეჯერისა და აღმასრულებელი დირექტორის მიერ. თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები შესაბამისობაშია საქართველოს შრომის კოდექსთან.

გამგეობის მიერ დამტკიცებულია ბაფის 2018 წლის ბიუჯეტი, გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა და შიდაგანაწესი.

ფედერაციაში შესყიდვის ოპერაციებისა და აქტივების დაცვაზე პასუხისმგებელია ოფისის მენეჯერი. წევრებისა და ბაფის საქმიანობით დაინტერესებული პირებისათვის ინფორმაციის მიწოდება უზრუნველყოფილია ბაფის ვებგვერდის, ფეისბუკისა და ყოველთვიური ჟურნალის მეშვეობით, სადაც ქვეყნდება ბაფის ნორმატიული აქტები, ბიუჯეტი და ფინანსური ანგარიშგება.

დასკვნის სახით, სარევიზიო კომისიას მიაჩნია, რომ აღმასრულებელი სტრუქტურის მიერ ორგანიზაციის მართვის სფერო და შიდა კონტროლის სისიტემა გამართულია და დადებითად აფასებს.

3. ეკონომიკური და ფინანსური საქმიანობა

ბაფი ყოველწლიურად ადგენს და გამგეობა ამტკიცებს მომავალი პერიოდის ბიუჯეტს, რომელსაც შემდგომ იყენებს სახელმძღვანელოდ თავის საქმიანობაში. ჩვენ გავეცანით 2018 წლისათვის დამტკიცებულ ბიუჯეტს და გავაკეთეთ დაგეგმილი შემოსავლებისა და ხარჯების მუხლობრივი შედარება ბაფის 2018 წლის წლიური ფინანსური ანგარიშგებით ფაქტიურად მიღებულ შემოსავლებისა და ხარჯების შესაბამის მუხლებთან. მიღებული შემოსავლები და გაწეული ხარჯები, შესაბამისობაშია დაგეგმილ ბიუჯეტთან.

შემოწმების შედეგების შეფასება

წარმოდგენილი ანგარიშის მომზადების პერიოდში, კომისია მოქმედებდა სარევიზიო კომისიის დებულების შესაბამისად.

საანგარიშგებო პერიოდში ბაფის გაწეული საქმიანობა სარევიზიო კომისის მიერ შეფასდა დადებითად.

სარევიზიო კომისიის წევრები:

1. მარეხი ტოგონიძე (თავმჯდომარე)
2. ხათუნა ბარბაქაძე
3. მზია ცოფურაშვილი